სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 3 21 0000931886

16/09/2021

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების და სტუ-ის წესდების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,

ვბრძანებ:

1. სტუ-ს ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ მაგისტრანტობის კანდიდატებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება 2021 წლის 29 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით. 6 ოქტომბერს წარმოადგინონ ჩარიცხვის პროექტი სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში.
2. სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა 2021-2022 სასწავლო წლისთვის სტუ-ის სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) არა უგვიანეს ამა წლის 11 ოქტომბრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მისი წარდგენა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს.

4. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

ვიცე–რექტორი
კლიმიაშვილი ლევან